



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

16 ივლისი 2018 წელი
თბილისი

ქ.

დისციპლინური საქმე №190/17

-- -- 2017 წლის 21 ნოემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად 2018 წლის 30 აპრილს მომზადებული №190/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ მოსამართლემ უგულვებელყო საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი და მე-4

მუხლები, 25-ე მუხლის პირველი პუნქტი, 28-ე მუხლის პირველი პუნქტი და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-198, 414-ე და 416-ე მუხლები. ორჯერ, კონკრეტული ნორმების მითითების გარეშე, დაუდგინა ხარვეზი, რითაც ბოროტად გამოიყენა თანამდებობრივი მდგომარეობა და უარი უთხრა მხარეს მართლმსაჯულების განხორციელებაზე.

ამასთან, დაუსაბუთებელი განჩინებით უკანონოდ უთხრა უარი აცილების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. განჩინებაში მითითება გააკეთა 179-ე მუხლზე, რომელიც ამოღებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსიდან. მოსამართლემ აცილების საკითხის გადაწყვეტისას გამოიყენა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლი, მაშინ როდესაც განცხადებაში მხარე აღნიშნულ მუხლზე არ უთითებდა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2017 წლის 06 ოქტომბერს -- რაიონული სასამართლოს სარჩელით მიმართა -- -- მოპასუხე თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ და მოითხოვა თელავის რაიონის გამგეობის დადგენილების და კომისიის სხდომის ოქმის არარა ადმინისტრაციულ აქტებად აღიარება.

-- რაიონული სასამართლოს 2017 წლის 11 ოქტომბრის განჩინებით (მოსამართლე-- --) -- -- დაუდგინდა ხარვეზი და ხარვეზის აღმოსაფხვრელად განესაზღვრა 10 (ათი) დღე განჩინების ჩაბარებიდან; ხარვეზის შევსების მიზნით მოსარჩელეს დაევალა სასარჩელო მოთხოვნების დაზუსტება და მოპასუხეთა წრის განსაზღვრა. ასევე, მოთხოვნის შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენა.

2017 წლის 12 ოქტომბერს --ს რაიონულ სასამართლოს ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებით მიმართა -- --.

-- რაიონული სასამართლოს 2017 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით (მოსამართლე-- --) სარჩელის უზრუნველყოფის შუამდგომლობაზე ხარვეზის შესავსებად, მოსარჩელე -- --, დადგენილი საპროცესო ვადა გაგრძელდა 10 დღით განჩინების გადაცემიდან; ხარვეზის შევსების მიზნით -- -- დაევალა სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტება და შესაბამისად მოპასუხეთა წრის განსაზღვრა. ასევე, მოთხოვნის შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენა.

2017 წლის 30 ოქტომბერს -- რაიონულ სასამართლოს მოსამართლის აცილების თაობაზე შუამდგომლობითა და ვადის გაგრძელების უსაფუძვლობის თაობაზე განცხადებით მიმართა -- --. მოსარჩელემ სასამართლოში წარდგენილ განცხადებაში აცილების საფუძვლად მიუთითა, რომ მოსამართლე ხარვეზის დადგენითა და საპროცესო ვადის გაგრძელებით იყო არაობიექტური და მიკერძოებული.

-- რაიონული სასამართლოს 2017 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით (მოსამართლე-- --) მოსარჩელე -- -- განცხადება აცილების შესახებ არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ

ხარვეზის დადგენა და საპროცესო ვადის გაგრძელება ობიექტურად არ წარმოადგენდა მოსამართლის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველს.

-- რაიონული სასამართლოს 2017 წლის 29 ნოემბრის განჩინებით (მოსამართლე-- --) ხარვეზის დადგენილ ვადაში შეუვსებლობის გამო -- -- უარი ეთქვა -- რაიონულ სასამართლოში წარდგენილი სარჩელის წარმოებაში მიღებაზე.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა -- -- 2017 წლის 04 დეკემბერს.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 18 დეკემბრის განჩინებით (მოსამართლე-- --) -- -- კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 31 იანვრის განჩინებით (მოსამართლე-- --) -- -- კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა -- რაიონული სასამართლოს 2017 წლის 29 ნოემბრის განჩინება და საქმე 2017 წლის 30 ოქტომბრის განცხადების (მხოლოდ დადგენილი ხარვეზის ფარგლებში) ხელახლა განხილვის მიზნით დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

-- რაიონული სასამართლოს 2018 წლის 05 მარტის განჩინებით (მოსამართლე-- --) -- -- სარჩელი დასაშვებად იქნა ცნობილი და მიღებულ იქნა სასამართლოს წარმოებაში; თელავის მუნიციპალიტეტის მერიიდან გამოთხოვილ იქნა -- -- სასარჩელო მოთხოვნებთან და დავის საგანთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების სრული მასალების ასლები დამოწმებული სახით.

2018 წლის 10 აპრილის -- რაიონულ სასამართლოში შესაგებელი წარადგინა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელმა -- --.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ

აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საქმის განხილვისას მხარეები სარგებლობენ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლით მინიჭებული უფლება-მოვალეობებით, ამასთან, სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აღიარებითი სარჩელი შეიძლება აღიძრას აქტის არარად აღიარების, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენის შესახებ, თუ მოსარჩელეს აქვს ამის კანონიერი ინტერესი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს,“ თუ სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლში ჩამოყალიბებული შესაბამისი წინაპირობები. აღნიშნული მუხლის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების თანახმად, სარჩელში უნდა აღნიშნოს „კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს“ და „მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს.“

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის თანახმად, აცილების საფუძველების არსებობისას მოსამართლე ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება.

თვითაცილების შესახებ მოსამართლეს (სასამართლოს) გამოაქვს განჩინება, რომელშიც უნდა მითითოს თვითაცილების საფუძველი.

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების 2.5. პუნქტის შესაბამისად, მოსამართლემ უნდა აიცილოს საქმე ისეთ შემთხვევებში, როდესაც მას არ შესწევს უნარი საქმე განიხილოს მიუკერძოებლად ან როდესაც გონიერ დამკვირვებელს შეიძლება მოეჩვენოს, რომ მოსამართლეს არ შესწევს საქმის მიუკერძოებლად განხილვის უნარი.

საქმის დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განხილვაში იგულისხმება არა მხოლოდ მისი დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განხილვა, არამედ აღქმა იმისა (საზოგადოების, განსაკუთრებით მხარეთა მხრიდან), რომ საქმე სასამართლომ განიხილა დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად.

მოსამართლეთა საყოველთაო ქარტიის მე-5 მუხლის თანახმად, სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მოსამართლე უნდა იყოს მიუკერძოებელი და ეს უნდა იყოს გამოხატული. მოვლენათა გარეგნულად გამოჩენის ფორმას – აღქმას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან, ამ დროს სასწორზე დევს ის ნდობა, რომელსაც სასამართლოები ნერგავენ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

მოსამართლის აცილების ინსტიტუტი ემსახურება, ერთის მხრივ, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპის განმტკიცებას და, მეორეს მხრივ, სწორედ სასამართლოს სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის მოპოვებასა და შენარჩუნებას.

მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების უმთავრეს პრინციპს და შესაბამისად, მოსამართლის უზენაეს ვალდებულებას.

აღსანიშნავია, რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ მოსამართლის მიუკერძოებლობა განმარტებულია, როგორც “მოსამართლის მიერ წინასწარ შექმნილი აზრის არ ქონა“. მოსამართლე საქმის განხილვისას, არა მხოლოდ უნდა იყოს მიუკერძოებელი, არამედ, გონიერი დამკვირვებლის თვალშიც უნდა აღიქმებოდეს ასეთად. შესაბამისად, ვინაიდან მართლმსაჯულების სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცება წარმოადგენს მართლმსაჯულების ლეგიტიმურობის გარანტიას, ნებისმიერი წინაღობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ამ რწმენას უნდა იქნეს გამორიცხული და ნებისმიერი მოსამართლე, რომელთან მიმართებითაც ვერ იქნება მიუკერძოებლობის აღქმა უზრუნველყოფილი, აცილებულ უნდა იქნეს საქმის განხილვისაგან. საქმეზე MORICE v. FRANCE სასამართლომ აქცენტი გააკეთა ობიექტურობის ტესტზე (იხ. *მიკალეფი*, § 95) და განმარტა, რომ არ არსებობს მკაფიო გამიჯვნა სუბიექტურ და ობიექტურ მიუკერძოებლობას შორის, ვინაიდან მოსამართლის ქცევამ შეიძლება არა მხოლოდ გამოიწვიოს ობიექტური უნდობლობა მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით გარე დამკვირვებლის თვალში (ობიექტური ტესტი), არამედ შეიძლება შეეხოს მისი შინაგანი რწმენის სჯითხს

(სუბიექტურობის ტესტი) (იხ. *კიპრიანუ* §119). ნებისმიერი მოსამართლე, რომლის მიმართ არსებობს ლეგიტიმური მიზეზი ვივარაუდოთ, რომ ის არ არის სრულიად მიუკერძოებელი, უნდა ჩამოსცილდეს საქმეს (იხ. *კასტილო ალგარი ესპანეთის წინააღმდეგ*, 1998 წლის 28 ოქტომბერი, § 45, ანგარიშები 1998-VIII და *მიკალეფი* § 98).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით აცილების საკითხის გადაწყვეტა მოსამართლის შეფასების საგანს წარმოადგენს. დადგენილია, რომ სასამართლოს 2017 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელის შუამდგომლობა აცილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველით, რომ ხარვეზის დადგენა და საპროცესო ვადის გაგრძელება ობიექტურად არ წარმოადგენდა მოსამართლის მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის მიზეზს. შესაბამისად, უარი უთხრა მხარეს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. რაც შეეხება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-7 მუხლის მითითებას, მოსამართლემ განჩინებაში გააანალიზა ის საპროცესო ნორმები, რომლებიც მოსამართლის აცილების საკითხს არეგულირებდნენ შესაბამისად, მოიშველია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ის ნორმაც, რომელიც აცილების საკითხს შეეხებოდა.

ამდენად, მოსამართლე -- -- შესაბამისი განჩინებების მიღებისას მოქმედებდა მისთვის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სარჩელის განსახილველად მიღების/მიღებაზე უარის თქმის შესაბამისი საკითხის შეფასება მის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენდა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს მოსამართლის მიერ, მისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასებების შედეგად, გამოტანილი განჩინების კანონიერებაზე. განჩინების ამ მხრივ შეფასება და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

რაც შეეხება, აცილებაზე უარის თქმის შესახებ 2017 წლის 31 ოქტომბრის განჩინების სამოტივაციო ნაწილში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 179-ე მუხლის მითითებას აღნიშნული უნდა მივიჩნიოთ ტექნიკური ხასიათის შეცდომად, რაც არ შეიძლება განხილულ იქნეს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საფუძველად.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძველები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 16 ივლისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №190/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

**საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი**